საქართველოს მთავრობის განკარგულება

№592 2016 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სს „ენერგო-პრო ჯორჯიასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 22 350 (ოცდაორი ათას სამას ორმოცდაათი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ (ს/კ: 205169066).

2. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

№1

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი

N	მისამართი უმრავი ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი
1	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელ კობში მდებარე 100 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	74.05.11.203
2	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელ კობში მდებარე 3274 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	74.05.11.204